CRRC-საქართველო



ანტიდასავლური რიტორიკა “ფეისბუქში”

2025 წლის ზაფხული და შემოდგომა

მთავარი მიგნებები

2025

მთავარი მიგნებები

ანტიდასავლური რიტორიკა „ფეისბუქში“

2025 წლის 1 ივნისიდან 28 ნოემბრამდე პერიოდში

2025

ავტორები: მარიამ კობალაძე, უფროსი მკვლევარი,

სალომე დოლიძე, მკვლევარი

CRRC–საქართველო

1 ლიზიკო ქავთარაძის ქ. თბილისი, 0179, საქართველო

https://www.crrc.ge

crrc.georgia@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC–საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC–საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

ანტიდასავლური რიტორიკა „ფეისბუქში“ 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე

მოკლე შეჯამება

ანგარიშის მიზანია 2025 წლის ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში „ფეისბუქზე“ გავრცელებული ანტიდასავლური ნარატივებისა და მათში ნახსენები აქტორების იდენტიფიცირება, მათი დინამიკის გაანალიზება და იმ პირების, ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების გამოვლენა, რომლებიც აღნიშნული გზავნილების შექმნასა და გავრცელებაში მონაწილეობენ. კვლევა ასევე სწავლობს, როგორ განსხვავდება გზავნილები ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურენოვან აუდიტორიებში. კვლევა ასევე სწავლობს ინფორმაციით მანიპულაციის ტექნიკებს „ფეისბუქ“ პოსტებში.

„ფეისბუქზე“ შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებზე დაკვირვების შესახებ ეს უკვე მეორე ანგარიშია, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდს. მონიტორინგი განხორციელდა 16 საჯარო „ფეისბუქ“ გვერდსა და ჯგუფზე, რომლებიც ქართულენოვანი, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი. საერთო ჯამში, სიღრმისეულად გაანალიზდა 1,756 პოსტი.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შერჩეული „ფეისბუქ“ გვერდები და ჯგუფები ავრცელებდნენ როგორც ანტიდასავლურ, ასევე პროსახელისუფლებო დისკურსს, რაც მკვეთრად იყო მორგებული შიდა პოლიტიკურ პროცესებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. ზაფხულში დომინირებდა ოპოზიციის დისკრედიტაცია. ოპოზიცია და პროევროპული პროტესტი წარმოდგენილი იყო როგორც გახლეჩილი, სასაცილო, არაეფექტიანი და საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ძალა. პარალელურად, ვრცელდებოდა გზავნილები, რომ „ქართული ოცნება“ ქვეყნის სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტს წარმოადგენდა და მისი გამარჯვება თვითმმართველობის არჩევნებში გარდაუვალი იყო.

შემოდგომაზე წინასაარჩევნო პერიოდში აქცენტი გადავიდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის გამყარებაზე, სოციალურ–ეკონომიკური მიღწევებისა და მშვიდობის პოლიტიკის ხაზგასმაზე. 4 ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, როცა არჩევნების პარალელურად მასობრივი საპროტესტო აქცია გაიმართა და აქციის მონაწილეების ნაწილმა პრეზიდენტის სასახლის დაკავება სცადა, კვლავ გააქტიურდა პროტესტის კრიმინალიზებისა და „გარე ძალების“ ჩარევის ნარატივები. შიდა უკმაყოფილება ხშირად იყო წარმოჩენილი, როგორც დასავლეთის მიერ ინსპირირებული მცდელობა ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის.

ეთნიკური უმცირესობების სეგმენტებში დისკურსი განსხვავებული ფორმით ვითარდებოდა. **აზერბაიჯანულენოვან სივრცეში დომინირებდა უფრო ნეიტრალური, საინფორმაციო სტილი,** რაც შერჩევის თავისებურებიდანაც გამომდინარეობდა (ორი საინფორმაციო გვერდი იყო შერჩეული). თუმცა, კრიზისულ პერიოდებში აქაც აქტიურდებოდა პროტესტის დისკრედიტაცია და ევროკავშირის კრიტიკა. **სომხურენოვან სეგმენტში მკაფიოდ გამოიკვეთა ხელისუფლების ლეგიტიმაციის, ანტიდასავლური და ნაწილობრივ პრორუსული ნარატივების სისტემური გავრცელება**, სადაც დასავლეთი წარმოდგენილი იყო როგორც ზეწოლისა და დესტაბილიზაციის წყარო, ხოლო რუსეთი – როგორც კონსტრუქციული და მშვიდობაზე ორიენტირებული აქტორი.

პოსტებში ნახსენები აქტორების ანალიზმა მკაფიო ნარატიული იერარქია აჩვენა. ყველაზე ხშირად და უმეტესად პოზიტიურ კონტექსტში იყო წარმოდგენილი საქართველოს ხელისუფლება/„ქართული ოცნება“, ასევე ბიძინა ივანიშვილი (იხ. დიაგრამა 1). ამის საპირისპიროდ, ოპოზიცია, პროევროპული პროტესტის

მონაწილეები და დასავლეთი ხშირად უარყოფითად იყვნენ გაშუქებული – როგორც არაკომპეტენტური, გახლეჩილი, ძალადობრივი და „გარე ძალებთან“ დაკავშირებული აქტორები.

დიაგრამა 1: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით 2025 წლის 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, სრული მონაცემები)



ნარატივების გავრცელებაში მონაწილეობდნენ საინფორმაციო მედია საშუალებები, პროსახელისუფლებო და კონსერვატიული „ფეისბუქ“ გვერდები და ჯგუფები, მათი ადმინისტრატორები, ასევე უცნობი ინდივიდები. **საერთო ჯამში, ნარატივების გავრცელების ქსელი მრავალსაფეხურიანი, სტრუქტურირებული და სეგმენტირებული იყო,** რაც საშუალებას აძლევდა, განსხვავებული გზავნილებით მიეტანა მთავარი აზრი სხვადასხვა აუდიტორიისთვის.

მონიტორინგის პერიოდში პოსტების უმრავლესობაში აშკარა ყალბი ინფორმაცია არ დაფიქსირებულა, თუმცა, მნიშვნელოვანი წილი შეიცავდა მანიპულაციურ, უკონტექსტო ან სუბიექტურად გაზიარებულ კონტენტს. ქართულენოვან სეგმენტში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ინფორმაციით მანიპულაციის შემთხვევები, მათ შორის ფოტო და ვიდეო მანიპულაციები (იმ პოსტების მეხუთედზე მეტი, რომლებსაც ვიდეო ახლავდა თან, ვიზუალურ მანიპულაციას შეიცავდა), ხოლო აზერბაიჯანულენოვან სივრცეში უფრო ნეიტრალური საინფორმაციო ფორმატი დომინირებდა. სომხურენოვან სეგმენტში ანტიდასავლურ გზავნილებს პრორუსული ინტერპრეტაციები ემატებოდა (ფოტო/ვიდეო მანიპულაციის ნიმუშები იხ. ქვემოთ).

საერთო ჯამში, კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე „ფეისბუქზე“ გავრცელებული ანტიდასავლური და პროსახელისუფლებო ნარატივები მჭიდროდ იყო დაკავშირებული საარჩევნო პროცესთან და ემსახურებოდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის გამყარებას, ოპოზიციის დელეგიტიმაციასა და დასავლეთისადმი უნდობლობის გაღრმავებას.